თამარ ორჯონიკიძე *

საქართველოს საპარლამენტო არჩევნები 2020: პარტიების დაფინანსება

აბსტრაქტი

2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. ცვლილებების შესაბამისად, როდესაც პარტიებს მხოლოდ 1%-იანი ბარიერის გადალახვა სჭირდებოდათ პარლამენტში მოსახვედრად, აღნიშნული ბარიერი 9 პარტიამ გადალახა და პარლამენტის წევრის სტატუსი ამ პარტიათა წარმომადგენლებმა მიიღეს.

არჩევნებზე პოლიტიკური პარტიები მოსახლეობის ხმების მოპოვებას არამარტო საპარლამენტო მანდატებისათვის ცდილობენ, არამედ მათ დაფინანსება სწორედ არჩევნებზე მიღებულ ხმებზეა დამოკიდებული. ფინანსების მიღების ორი ძირითადი გზა მათთვის საბიუჯეტო დაფინანსება და შემოწირულობებია. შემოწირულობების არათანაბარი გადანაწილება(უმრავლეს შემთხვევაში მმართველი ძალის სასარგებლოდ) დაპირისპირებული მხარეებისთვის არათანაბარ წინასაარჩევნო გარემოს ქმნის, რაც გარკვეულწილად მოსახლეობის არჩევანზეც მოქმედებს. არაინფორმირებული არჩევანი კი აფერხებს ქვეყნის განვითარებას. 2020 წლის არჩევნები არ ყოფილა გამონაკლისი და მმართველმა პარტიამ ამ შემთვევაშიც ყველა კონკურენტს აჯობა შემოწირულობების ოდენობით, თუმცა აღნიშნული არჩევნები მაინც გამოირჩეოდა წინა წლებში ჩატარებული არჩევნებისაგან. მოცემულ ნაშრომში ვეცდებით, წარმოვადგინოთ საბიუჯეტო დაფინანსება და შემოწირულობები წინასაარ-

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.

ჩევნო პერიოდში იმ 9 პარტიისათვის, რომელთაც პროპორციული სისტემით გადალახეს 1%-იანი ბარიერი და პარლამენტში მოხვდნენ. ნაშრომში დავეყრდნობით არასამთავრობო ორგანიზაციათა კვლევებსა და ანგარიშებს, ცესკოს მონაცემებს, მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას და აუდიტის სამსახურის პარტიათა დაფინანსების დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ დოკუმენტებს.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს საპარლამენტო არჩევნები; პარტიების დაფინანსება; შემოწირულობები; საბიუჯეტო დაფინანსება.

შესავალი

პოლიტიკური ფინანსების გარეშე მრავალპარტიული დემოკრატიის განვითარება საკმაოდ რთულია. პოლიტიკური პარტიებისათვის ფინანსების მოზიდვის რამდენიმე გზა არსებობს თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება და შემოწირულობებია, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მმართველი ძალის სასარგებლოდ მიედინება, რაც უთანაბრო ვითარებას ქმნის და შესაბამისად წინასაარჩევნო გარემო არცთუ სამართლიანია. კონკურენცია არსებობს პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, თუმცა მოზიდული ფინანსები ხელისუფლებაში მყოფ პარტიას დიდ უპირატესობას აძლევს.

საქართველოში ჩატარებული ყოველი არჩევნები, განსაკუთრებით კი საპარლამენტო არჩევნები დაძაბულობით, ურთიერთბრალდებებით გამოირჩევა. გამონაკლისი არც 2020 წლის არჩევნები ყოფილა. პოლიტიკური ფინანსების განაწილების თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო არჩევნები იყო. 2020 წლის არჩევნებში ახალი პოლიტიკური სუბიექტები მონაწილეობდნენ, მათ წინასაარჩევნოდ მიიღეს საკმაოდ სოლიდური შემოწირულობა და მოიპოვეს საპარლამენტო მანდატები.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესი საქართველოში

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო აქტით რეგულირდება. ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია ორგანული კანონებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ და „საარჩევნო კოდექსი“, ასევე კანონებით - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანებით.

მოქმედი კანონმდებლობით საარჩევნო სუბიექტებს შემოსავლების მიღება შემდეგი წყაროებიდან აქვთ ნებადართული: 1. სახელმწიფო დაფინანსება 2. საწევრო შენატანები[1] 3. შემოწირულობები 4. სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე, საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი. 5. საბანკო სესხი[2].

სახელმწიფო დაფინანსება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა პარტიების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და პარტიული სისტემის განვითრებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხას იღებს პარტია, რომელმაც საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში ამომრჩევეთა ნამდვილი ხმების 1% მაინც მიიღო.

---

[1] საწევრო შენატანების წლიური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 200 ლარს. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=34

[2] ზედგინიძე. ნ; ორჯონიკიძე, თ. (2019). *2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში: კონკურენტული ავტორიტარიზმის ანატომია.* პოლიტიკა #2 (14).
file:///C:/Users/User/Downloads/127-594-1-PB.pdf

2020 წლის ივნიში საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები დაამტკიცა - 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები 120/30-ზე პროპორციით ჩატარდა, საიდანაც 120 დეპუტატს ამომრჩევლები პროპორციული წესით ირჩევდნენ, 30 დეპუტატს კი მაჟორიტარულით. აღნიშნულმა ცვლილებებმა სხვა ცვლილებათა საჭიროება გააჩინა - მათ შორის ჩვენთვის საინტერესოა საეთერო დროის განაწილებისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანულ კანონი.[3]

პარტიების დაფინანსების ძველი წესის მიხედვით, პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების გამოანგარიშება შემდეგი ფორმულით ხდებოდა:Z=B+(M*600*12)+(L*100*12)+(V*1,5)+(W*1)+(H), სადაც სადაც Z არის პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობა; B – საბაზო დაფინანსების ოდენობა; M – პროპორციული სისტემით არჩეული 30 და 30-მდე პარლამენტის წევრთა რაოდენობა; L – პროპორციული სისტემით არჩეული 30 წევრის ზემოთ პარლამენტის წევრთა რაოდენობა; V – 200 000 ამომრჩევლამდე მიღებული ხმების ოდენობა; W – 200 000 ამომრჩევლის ზემოთ მიღებული ხმების ოდენობა; H – პარტია, რომელიც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრირებული იყო საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და რომლის წევრიც არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად, თუ იგი შექმნის საპარლამენტო ფრაქციას. ამ ფორმულის მიზნებისთვის H=300 000 ლარს. განხორციელებული ცვლილებებით ეს ფორმულა გაუქმდა და დაფინანსების წესი განისაზღვრა შემდეგნაირად: პარტია პირველი 50 000 მიღებული ნამდვილი ხმისთვის თითოეულზე 15 ლარს მიიღებს, ხოლო ყოველ მომდევნო ნამდვილ ხმაზე - 5 ლარს. ეს წესი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების

[3] https://formulanews.ge/News/32586 არჩევნები 2020 - რა ცვლილებები შედის კანონმდებლობაში

შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებისთანავე, ანუ 2020 წელს ამოქმედდა[4]. აღსანიშნავია ასევე, რომ აღნიშნული თანხის გარდა, პარტიები გენდერული კვოტის დაცვის შემთხვევაში, დამატებით დაფინანსებას მიიღებენ: სარჩევნო სიაში ყოველი მესამე განსხვავებული სქესის წარმოდეგენისას მისაღებ დაფინანსებას თანხის 30% დაემატება.[5]

საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გადაირიცხება თანხა ფონდში, რომლის მიზანიცაა პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.[6] აღნიშნული ფონდის ფუნქციას კი ასრულებს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი. ფონდში ყოველკვარტალურად გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიებზე პირდაპირ გადასანაწილებელი თანხის ნახევარი და აღნიშნული თანხა გაიცემა მხოლოდ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების მიზნით წარდგენილი პროექტების დაფინანსების მიზნით.

მედიაკამპანია და საეთერო დრო

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მანამდე მოქმედი სისტემით უფასო საეთერო დრო მიიღო ცხრამეტმა კვალიფიციურმა პარტიამ. ხოლო 2024 წლის საპარლამენტო აჩევნებზე ცვლილეების

---

4 https://transparency.ge/sites/default/files/sakartvelos_parlamentis_2020_clis_parlamentis_archevnebis_kampaniis_dapinanseba_shualeduri_angarishi_0.pdf

5 *„ქართული ოცნება“ – 5 140 020, „ნაციონალური მოძრაობის“ ბლოკი - 3 115 635 - რომელი პარტია რამდენი ლარით დაფინანსდება ბიუჯეტიდან* https://www.ambebi.ge/article/252236-kartuli-ocneba-5-140-020-nacionaluri-mozraob/

6 https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=34

მიხედვით უფასო საეთერო დროს მიიღებენ ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებმაც 31 ოქტომბრის არჩევნებზე 1%-იანი ბარიერი გადალახეს.

შემოწირულობები

რაც შეეხება **შემოწირულობებს,** „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონით ამ ტერმინში მოიაზრება:

- პარტიის ანგარიშზე ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული ფულადი თანხა.
- პარტიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის შეღავათიანი კრედიტი) და მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი).

შემოწირულობის განხორციელებისას კანონი ადგენს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ შეზღუდვებს:[7]

- შემომწირველი ფიზიკური პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
- შემომწირველი იურიდიული პირი უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მისი პარტნიორები და საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ.
- შემომწირველი არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომლის წინა კალენდარული წლის ან საარჩევნო წლის კენ-

[7]ორჯონიკიძე, თ. (2017). *პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს* პოლიტიკა 2017 N 5
file:///C:/Users/User/Downloads/47-219-1-PB.pdf

ჭისყრის დღემდე ფაქტობრივი შემოსავლების 15%-ზე მეტი მიღებულია მის სასარგებლოდ ან მისი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით.

- პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისაგან მიღებული შემოწირულობების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისგან მიღებული შემოწირულობების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 120 000 ლარს[8].

ასევე, **აკრძალულია** შემოწირულობის მიღება:

- სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისგან.
- სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისგან.
- არასამეწარმეო იურიდიული პირისგან და რელიგიური ორგანიზაციისგან
- ანონიმური ფორმით

რა ღირს არჩევნების ჩატარება საქართველოში

სანამ კონკრეტულად პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე გადავალთ მანამდე რამდენიმე სიტყვით არჩევნების ღირებულებასაც შევეხოთ. საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების დაფინანსების საკითხი 2020 წლის 10 იანვრის დადგენილებით განისაზღვრა[9]. 2020 წლის 13 იანვარს გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნების ჩასატა-

[8] https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=34

[9] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4770734?publication=0&fbclid=IwAR3Zv6X0sWxhJVEb0L2xGJ0o0FfpuwoJ-6N0fYsCnXCkr29BtOv2N8x9ejg საქართველოს საკანონმდებო მაცნე

რებლად გამოყოფილი იყო 42 760 652 ლარი, საიდანაც 19 მილიონ ლარზე მეტი შრომის ასანაზღაურებლად იყო განსაზღვრული; დაახლოებით ათი მილიონი ლარი სერვისებისა და მომსახურების შესყიდვისთვის გამოიყო, სხვა ხარჯებისათვის განისაღვრა 12 მილიონ ლარზე მეტი. აღსანიშნავია ასევე, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება საქართველოს ბიუჯეტს დაუჯდა დაახლოებით 4 მილიონი ლარით ნაკლები - 38 136 230 ლარი[10]. გასათვალისწინებელი ასევე, რომ აღნიშნული მონაცემები არ მოიცავს პარტიების მიერ მიღებულ შემოწირულობებსა და საბიუჯეტო დაფინანსებას, რასაც ისინი მათ მიერ ამომრჩევლებისაგან მიღებული ხმების მიხედვით იღებენ.

როგორც მოგეხსენებათ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ორ ტურად გაიმართა. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 13 ნოემბერს დადგენილება მიიღო, რის მიხედვითაც განისაზღვრა 2020 წლის არჩევნების მეორე ტურის ბიუჯეტი. ჯამურად მეორე ტურის ჩასატარებლად გამოიყო 8 612 110 ლარი, თანხის ნახევარზე მეტი შრომის ასანაზღაურებლადაა განკუთვნილი - 4 566 700 ლარი. დანარჩენი სხვა ხარჯებისა და სხვადასხვა ტიპის მომსახურების შესასყიდადაა განსაზღვრული.[11]

პარტიების დაფინანსება 2020 წლის არჩევნებზე

როგორც უკვე აღინიშნა 2020 წლის ივნიში საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები დაამტკიცა - 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები 120/30-ზე პროპორციით ჩატარდა, საიდანაც 120 დეპუტატს ამომრჩევლები

[10] https://bm.ge/ka/video/archevnebi2020---ra-daujda-archevnebi-saqartvelos-da-mismoqalaqeebs/21127 რა დაუჯდა არჩევნები საქართველოს და მის მოქალაქეებს

[11] *საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე*
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5032817?publication=0

პროპორციული წესით ირჩევდნენ, 30 დეპუტატს კი მაჟორიტარულით.

პარტიების მიერ პროპორციული სისტემით მიღებული ხმების რაოდენობა და მოპოვებული მანდატები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში[12]

პარტიის დასახელება	**მიღებული ხმები**	**%**	**მიღებული მანდატი**
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	928 004	48.22	60
ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა“-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	523 127	27.18	36
„ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის“	72 986	3.79	5

[12] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი https://cesko.ge/res/docs/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A12020%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A131%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98.pdf

„ლელო - მამუკა ხაზარაძე“	60 712	3.15	4
ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“	60 671	3.15	4
„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	60 480	3.14	4
„გირჩი“	55 598	2.89	4
„ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“	25 508	1.33	2
„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	19 314	1.00	1

31 ოქტომბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე, 1 სექტემბერს დაიწყო. არჩევნებში მონაწილეობდა 50 საარჩევნო სუბიექტი (პარტია და ბლოკი), მათმა ნაწილმა მიიღო საბიუჯეტო დაფინანსება, ბევრმა მათგანმმა(უმთავრესად მსხვილმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა) კი სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად საკმაოდ დიდი შემოწირულობა მიიღეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში სპეციალური დეპარტამენტია შექმნილი, რომელიც პარტიების დაფინანსების მონიტორინგს ახდენს. დეპარტამენტი რეაგირებდა შესაძლო დარღვევებზე და მოსახლეობასაც აუწყდებდა ამის შესახებ. სწორედ მათ გვერდზეა გამოქვეყნებულია ბარიერგადალახული პარტიების მიერ მიწოდებული დეკლარაციები, რომლებიც მოცემულია ქვემოთ განთავსებულ ცხრილში. მონაცემები მოიცავს 01.09.2020-31.10.2020 პერიოდს.

პარტიის დასახელება	შემოსავალი			ხარჯი			
	საბიუჯეტო შემოსავალი	მიზნობრივი დაფინანსება	შემოწირულობა (ჯამურად[13]	საკასო შემოსავალი	რეკლამის ჯამური ხარჯი	შრომის ანაზღაურება	საკასო ხარჯი
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო[14]	346 840	436 934	14 543 797	16 329 039	11 676 358	79 775	16 164 538
ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა“- გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“[15]	772 181	21 042	4 784 436	5 612 396	4 186 358	377 777	5 159 435

[13] იხ, გვ.2

[14] ქართული-ოცნება-დემოკრატიული საქართველო.pdf

[15] https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AB%E1%83%A

„ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო- მოძრაობა თავისუფლებისათვის“ [16]	172 688	21 042	2 414 205	2 994 847	2 546 696	28 764	3 191 748
„ლელო - მამუკა ხაზარაძე“[17]	0	0	5 999 459	5 999 459	4 737 890	364 319	5 979 269

0%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%20-%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%20,,%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%20%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%90''.pdf

[16] https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D.pdf

[17] https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1.pdf

ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“[18]	427 435	10 521	2 464 065	2 912 602	2 334 875	7 146	2 494 696
„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“[19]	606 682	42 084	1 886 805	2 535 612	1 739 539	159 321	2 240 953

[18] https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%20-%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98.pdf

[19] https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98.pdf

„გირჩი“[20]	0	0	0	0	0	0	0
„ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“[21]	0		251 985	252 257	221 261	1 841	238 796
„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“[22]	99 845	394 850	194 486	689 181	152 766	38 184	299 687

[20] https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%20-%20%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%98.pdf

[21] https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%20-%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

[22] https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%98%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90.pdf

მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2020 წლის არჩევნები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინა არჩევნებისაგან რამდენიმე ფაქტორით. აღსანიშნავია, რომ ბარიერგადალახული 9 პარტიიდან 3 ახლადშექმნილი პარტია - „გირჩი“, „ლელო“ და „მოქალაქეები“ საბიუჯეტო დაფინანსებას არ იღებდნენ. „ლელო“ და „მოქალაქეები“ სრულად დამოკიდებულნი იყვნენ შემოწირულობებზე და მიუხედავად უდიდესი განსხვავებისა ამ შემოწირულობებს შორის ორივე პარტიამ მოახერხა საპარლამენტო მანდატების მოპოვება. „ლელო“ იმითაცაა გამორჩეული, რომ შემოწირულობების რაოდენობის მიხედვით მმართველი ძალის შემდეგ მეორე ადგილზეა და ისეთ პარტიას უსწრებს, როგორიც ყოფილი სახელისუფლებო პარტია(„ნაციონალური მოძრაობა“) და მისგან 2016 წლის არჩევნების შემდგომ გამოყოფილი „ევროპული საქართველოა“. მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შემოწირულობები საკმაოდ უთანაბროდაა განაწილებული არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს შორის და მმართველი პარტიისაკენ მიმართული რესურსები რამდენჯერმე აღემატება ოპოზიციური პარტიების მიერ მიღებულ შემოწირულობებს, ერთად აღებული 8 ბარიერგადალახული სუბიექტი „ქართულ ოცნებას“ ჯობნის მიღებული შემოწირულობების მიხედვით. ახალი პოლიტიკური სუბიექტების მონაწილეობამ გამოიწვია ისიც, რომ საპარლამენტო მანდატების მომპოვებული 6 სუბიექტის შემთხვევაში შემოწირულობების ოდენობამ მილიონს გადააჭარბა.

ხარჯებს რაც შეეხება, ვითარება უცვლელია იმ კუთხით, რომ 2020 წლის არჩევნებზე, ისე, როგორც მანამდე ჩატარებულ არჩევნებზე პოლიტიკური სუბიექტების მიერ გაღებული რესურსების უდიდესი ნაწილი სხვადასხვა სახის რეკლამაში იხარჯება. მიუხედავად იმისა, რომ პარტიებისათვის გამოყოფილია უფასო სატელევიზიო სარეკლამო დრო, რომელსაც აქტიურად იყენებენ პოლიტიკური სუბიექტები, ისინი მაინც უდიდეს რესურსს ხარჯავენ რეკ-

ლამისათვის. წლევანდელი არჩევნები გამორჩეული იმითაც იყო, რომ გაიზარდა სოციალურ ქსელის როლი წინასაარჩევნოდ და პოლიტიკურმა სუბიექტებმა ათეულობით ათასი დოლარი დახარჯეს ფეისბუქზე დასპონსორებულ გვერდებში.[23]

პარტიების დაფინანსება 2020 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შეცვლილი კანონმდებლობის პირობებში პარტიები წინა წლებისაგან განსხვავებული წესით მიიღებენ დაფინანსებას. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია პარლამენტში შესვლაზე უარს ამბობს და ხელახალ არჩევნებს ითხოვს, რაზეც მმართველი პარტია არ თანხმდება, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მიღებული ხმების მიხედვით საბიუჯეტო დაფინანსება 14 პარტიას ეკუთვნის.[24] იხ. ცხრილი[25]

პარტიის დასახელება	მიღებული ხმები	ყოველწლიური დაფინანსება
ქართული ოცნება -	928 004	5 140 020

[23]არჩევნები ფეისბუქზე - *ვის და რაზე ელაპარაკებიან პარტიები* https://www.radiotavisupleba.ge/a/30919790.html

[24] გენდერული კვოტა დაიცვა „პატრიოტთა ალიანსმა“, „ევროპულმა საქართველომ“; „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეებმა“ და ბლოკმა „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“ - შესაბამისად ისინი საბიუჯეტო თანხასთან ერთად მიიღებენ დამატებით ამ თანხის 30%-ს.
„ქართული ოცნება“ – 5 140 020, „ნაციონალური მოძრაობის“ ბლოკი - 3 115 635 - რომელი პარტია რამდენი ლარით დაფინანსდება ბიუჯეტიდან https://www.ambebi.ge/article/252236-kartuli-ocneba-5-140-020-nacionaluri-mozraob/
ცესკოს განკარგულებით, დაფინანსებას ყველა პარტია მიიღებს, გარდა გირჩისა და მოქალაქეებისა. https://www.tabula.ge/ge/story/183910-ceskos-gankargulebit-dafinansebas-kvela-partia-miighebs-garda-girchisa-da-moqalaqeebisa

[25] საბიუჯეტო დაფინანსებაზე უარი განაცხადა „გირჩმა“ და „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეებმა“. დანარჩენი პარტიები პარლამენტში შესვლაზე უარის თქმის მიუხედავად, სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებენ.

დემოკრატიული საქართველო		
ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა“- გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	523 127	ბლოკი ჯამურად - 3 115 635; აქედან: ნაციონალური მოძრაობა - 2 199 635 „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ – 240 000 „პროგრესი და თავისუფლება“ – 12 000 „რესპუბლიკური პარტია“ – 204 000 „ევროპელი დემოკრატები - 460 000
„ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის“	72 986	1 124 409
„ლელო - მამუკა ხაზარაძე“	60 712	803 560
ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“	60 671	ბლოკი ჯამურად - 1 044 361; აქედან: გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი - 939 925 „კანონი და სამართალი“ – 104 436
„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს	60 480	1 043 120

პატრიოტთა ალიანსი“		
„გირჩი“	55 598	777 990
„ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“	25 508	497 406
„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	19 314	289 710

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო დაფინანსება საკმაოდ სოლიდურია პარტიათათვის და მათ შორის მეტ-ნაკლებად თანაბრადაა განაწილებული, ისინი წინასაარჩევნოდ მაინც დიდწილად დამოკიდებულნი არიან შემოწირულობებზე. 2020 წლის არჩევნები გამორჩეული იყო ახალი საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობით საპარლამენტო არჩევნებში და მათ მიერ მიღებული სოლიდური შემოწირულობებით, რამაც სახელისუფლებო ძალის განუზომელი უპირატესობა შეამცირა ამ მიმართულებით. რამდენიმე პარტიამ მხოლოდ შემოწირულობის პირობებში, როდესაც არ სარგებლობდნენ სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებით, შეძლო და მოიპოვა საპარლამენტო მანდატები, რაც საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებას ნამდვილად შეუწყობს ხელს. ოპოზიციური პარტიების მეტ-ნაკლებად თანაბარი მდგომარეობა მმართველ პარტიასთან ფინანსური თალსაზრისით ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, მოქალაქეთა მხრიდან თავისუფალ და შეჯიბრებითობის პრინციპზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო ქართული-ოცნება-დემოკრატიული საქართველო.pdf
- ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა“-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AB%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%20-%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%20,,%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%20%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%90''.pdf
- „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის“ https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D.pdf
- „ლელო - მამუკა ხაზარაძე“ https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-

%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1.pdf

- ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“ https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%20-%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98.pdf
- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%A1%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98.pdf
- „გირჩი“ https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%20-

%20%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%98.pdf

- „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%20-%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf
- „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ https://monitoring.sao.ge/files/8/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%98%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90.pdf
- საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/5032817?publication=0
- მოძიებულია 4 დეკემბერი, 2020.
- *„ქართული ოცნება“ – 5 140 020, „ნაციონალური მოძრაობის“ ბლოკი - 3 115 635 - რომელი პარტია რამდენი ლარით დაფინანსდება ბიუჯეტიდან*
- https://www.ambebi.ge/article/252236-kartuli-ocneba-5-140-020-nacionaluri-mozraob/ მოძებულია 4 დეკემბერი, 2020.

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი https://cesko.ge/res/docs/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A12020%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A131%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98.pdf
- მოძიებულია 4 დეკემბერი, 2020.
- არჩევნები ფეისბუქზე - *ვის და რაზე ელაპარაკებიან პარტიები*
- https://www.radiotavisupleba.ge/a/30919790.html
- მოძიების თარიღი 4 დეკემბერი, 2020
- ზედგინიძე. ნ; ორჯონიკიძე, თ. (2019). *2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში: კონკურენტული ავტორიტარიზმის ანატომია.* პოლიტიკა #2 (14).
- file:///C:/Users/User/Downloads/127-594-1-PB.pdf
- მოძიებულია 4 დეკემბერი, 2020.
- ორჯონიკიძე, თ. (2017). *პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს* პოლიტიკა 2017 N 5
- file:///C:/Users/User/Downloads/47-219-1-PB.pdf

- მოძიებულია 4 დეკემბერი, 2020.
- Bpn - რა ჯდება არჩევნები
- https://www.bpn.ge/article/74908-ra-jdeba-mimdinare-saparlamento-archevnebi/?fbclid=IwAR1mBEVy2nBwxdAA0sJY_vqEKRs-wL_d7YhixAnPlRYySsTo-fhMQ1d6x_o მოძიებულია 13.11.2020
- https://monitoring.sao.ge/files/7/2020-31-10-%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98.pdf აუდიტის შუალედური ანგარიში პდფ მოძიებულია 13.11.2020
- https://formulanews.ge/News/32586 ცვლილებები კანონმდებლობაში-ფორმულა მოძიებულია 13.11.2020
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/4770734?publication=0&fbclid=IwAR3Zv6X0sWxhJVEb0L2xGJ0o0FfpuwoJ-6N0fYsCnXCkr29BtOv2N8x9ejg მაცნეს დადგენილება არჩევნების ხარჯებზე მოძიებულია 13.11.2020
- საერთშორისო გამჭვირვალობა საქართველო, (2020) *საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება (შუალედური ანგარიში),* https://transparency.ge/sites/default/files/sakartvelos_parlamentis_2020_clis_parlamentis_archevnebis_kampaniis_dapinanseba_shualedduri_angarishi_0.pdf მოძებულია 7 დეკემბერი, 2020.
- *ცესკოს განკარგულებით, დაფინანსებას ყველა პარტია მიიღებს, გარდა გირჩსა და მოქალაქეებისა.* https://www.tabula.ge/ge/story/183910-ceskos-gankargulebit-dafinansebas-kvela-partia-miighebs-garda-girchisa-da-moqalaqeebisa მოძიებულია 13.12.2020

Tamar Orjonikidze

Parliamentary Elections of Georgia 2020
Party Funding

Abstract

Parliamentary elections were held in Georgia on October 31, 2020. According to the amendments, when the parties only needed to cross the 1% threshold to enter parliament, the threshold was crossed by 9 parties and the representatives of these parties were granted the status of members of parliament.

Political parties try to win the votes of the population not only for parliamentary seats, but also their financing depends on the votes received in the elections. The two main ways to get funding for them are budget funding and donations. Unequal distribution of donations (in most cases in favor of the ruling party) creates an unequal pre-election environment for the opposing parties, which to some extent also affects the choice of the population. Uninformed choices hinder the development of the country. The 2020 elections were no exception, and the ruling party again surpassed all rivals in terms of donations, although the elections were still different from previous years. In this paper we will try to present the budget funding and donations in the pre-election period for the 9 parties that overcame the 1% threshold in the proportional system and entered the parliament. The paper will rely on NGO surveys and reports, CEC data, information published in the media and official documents published by the Audit Office of the Financing Department of Party.

Keywords: Parliamentary Elections of Georgia; Party funding; Donations; Budget funding.